



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მერისი

მერისი, აკავრეთა, მდინარე აჭარის არ-ის ქედის მუნიციპალიტეტში, აჭარისწყლის მარცხ. შენაკადი. სათავეს იღებს შავშეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, ზ. დ. 2236 მ. ერთვის მდ. აჭარისწყალს დაბა ქედის მახლობლად. მდინარის სიგრძეა 21.5 კმ, აუზის ფართ. – 130.7 კმ². საზრდობს წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა – ზაფხულსა და ზამთარში. მ-ის მნიშვნელოვანი შენაკადებია ლოდნარი და დიდლეუ.
